სასტუმრო მომსახურება

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში / Secondary Vocational Qualification in Hotel Service

დაშვების წინაპირობები სრული ზოგადი განათლება

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის სასტუმრო მომსახურების სფეროში კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება.

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერი ტიპის სასტუმროსა და რესტორანში, როგორც დაბალი რგოლის თანამშრომლად, ისე საშუალო რგოლის პოზიციაზე; სასტუმროს მომსახურების საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს სასტუმროებსა და განთავსების მსგავს ორგანიზაციებში (რესტორნებით და რესტორნების გარეშე) შემდეგ პოზიციაზე: სასტუმროს მიმღების ოპერატორები, ოფისების, სასტუმროებისა და სხვა დაწესებულებების დასუფთავება-დალაგების მეთვალყურეები.

სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. განახორციელოს დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურა;
2. უზრუნველყოს დასუფთავების მომსახურება;
3. შეასრულოს სასტუმროს შიდა, მარტივი მარკეტინგული საქმიანობა;
4. უზრუნველყოს სასტუმროს უსაფრთხოების წესების დანერგვა;
5. სასტუმროში მართოს პრობლემური სიტუაციები;
6. აკონტროლოს ცვლების მონაცვლეობა;
7. უზრუნველყოს სასტუმროს ძირითადი და დამატებითი მომსახურებების მიწოდება.

<u>პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:</u>

პროგრამის მოცულობა: 80 კრედიტი

სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობა: 14 თვე;

დუალური მიდგომით განხორციელებისას - 3 სასწავლო წელი.

პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციები:

1. შპს. კოკაკოლა ბოთლერს ჯორჯია
2. შპს. ტურინვესტი
3. შპს. შპს. ვესტი
4. რადისონ ბლუ ბათუმი
5. შპს. შერატონ ბათუმი